



აჭარის მთავრობის ორი წლის ანგარიში

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი

✓ მარკეტინგული ღონისძიებები საერთაშორისო ბაზარზე

რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით, სარეკლამო და მარკეტინგული კამპანიები განხორციელდა **2013 წელს 7 ქვეყნის, 2014 წელს კი 9 ქვეყნის** ტურისტულ ბაზარზე: ისრაელი, პოლონეთი, თურქეთი, უკრაინა, ლიტვა, ბელორუსია, ყაზახეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი.

2014 წელს სარეკლამო კამპანიის შედეგად მიღწეული შედეგები 9 საერთაშორისო სამიზნე ქვეყნებში:

1. აზერბაიჯანი	-	1 500 000	წვდომა
2. სომხეთი	-	1 500 000	წვდომა
3. ბელორუსი	-	11 658 000	წვდომა
4. თურქეთი	-	12 750 000	წვდომა
5. პოლონეთი	-	19 489 500	წვდომა
6. ისრაელი	-	1 307 000	წვდომა
7. ლიტვა	-	655 000	წვდომა
8. ყაზახეთი	-	4 955 128	წვდომა
9. უკრაინა	-	5 000 000	წვდომა
ადგილობრივი ბაზარი	-	400 000	წვდომა

✓ საერთაშორისო ტურისტული გამოფენები

დეპარტამენტი მონაწილეობდა 2013 წელს **15 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში**, ხოლო 2014 წელს **20 საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში** (2013-2014 წლების მანძილზე **სულ 35 საერთაშორისო ტურისტული გამოფენა**).

✓ საინფორმაციო ტურების ორგანიზება

დეპარტამენტის მიერ ორი წლის მანძილზე ორგანიზებული იქნა **48 სარეკლამო-საინფორმაციო ტური საქართველოსა და სხვადასხვა ქვეყნის ტუროპერატორებისა და ჟურნალისტებისთვის**. საინფორმაციო ტურების ფარგლებში აჭარის ტურისტულ პოტენციალს გაეცნო **522 სტუმარი**. მიმდინარე წელს პროექტების შედეგად უკვე დამზადდა **105 სარეკლამო ხასიათის სტატია** და სატელევიზიო სიუჟეტი.

✓ საინფორმაციო-სარეკლამო მასალები

განხორციელდა რეგიონის ტურისტული პოტენციალისა და ტურიზმის ცალკეული სახეობების პოპულარიზაციის მიზნით **18 სახეობის** სარეკლამო-საინფორმაციო მასალის (ქართულ-ინგლისური-რუსული) დამზადება და გავრცელება.

✓ ინტერნეტ რეკლამისა და ონლაინ მარკეტინგული ღონისძიებები

2013 წელს შეიქმნა აჭარის ტურიზმის დეპარტამენტის ახალი ოფიციალური ვებ-გვერდი-www.goBatumi.com ქართულ, რუსულ და ინგლისური ენებზე, 2 წლის მანძილზე ხორციელდებოდა ინტერნეტ რეკლამა და ონლაინ მარკეტინგული ღონისძიებები.

ინტერნეტ რეკლამა - წვდომა საშუალოდ კვირაში **634 868**

ვებ-გვერდი **Gobatumi.com** - უნიკალური მომხმარებლების რაოდენობა დღეში **620**

სულ: **166 743**

✓ საერთაშორისო ფრენები

ტურიზმის დეპარტამენტის უშუალო ჩართულობით და ორმხრივი მოლაპარაკებების შედეგად პოლონეთიდან ორი უდიდესი ტურისტული კომპანიის (Itaka და Rainbowtours) მოზიდვა საზაფხულო სეზონზე. შედეგად 3-ით მეტი ფრენა ბათუმში პოლონეთის 3 დიდი ქალაქიდან: ვარშავა, კატოვიცე, პოზნანი. ჯამში დაახლოებით **5940 ტურისტი**

✓ ეკოტურიზმის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები

2013-2014 წლებში დეპარტამენტმა მოახდინა **10 ახალი ტურისტული მარშრუტის** შედგენა და მარკირება. პროექტი გულისხმობს ნიშნულების განთავსებას ყველა მარშრუტზე და აჭარის ერთიან ეკოტურისტული ელექტრონული და საბეჭდი რუკის დამზადებას.

✓ რეგიონში სერვისის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები

2013-2014 წლებში აჭარის რეგიონის კერძო ტურისტულ ობიექტებში (განთავსების და კვების ობიექტები) გადამადა:

2013 წელს-**230 ადამიანი**

2014 წელს- **195 ადამიანი**

წლის ბოლომდე გადამზადდება: **205 ადამიანი**

სულ: 630 ადამიანი

რეგიონში ტურისტული სერვისის არსებული გამოწვევების განსაზღვრის მიზნით განხორციელდა „**იღუმალი სტუმრის**“ პროექტი 32 კვების ობიექტსა და 8 ტურისტულ საინფორმაციო ცენტრში. კვლევის მიზანს წარმოადგენდა კვების ობიექტებში არსებული მდგომარეობის შესწავლა, კონკრეტული ობიექტების მიხედვით რეკომენდაციების შემუშავება, ჩატარებული გადამზადების კურსების ეფექტურობის განსაზღვრა და ანალიზის საფუძველზე 2014-2015 წლის გადამზადების კურსების დაგეგმვა.

✓ ტურიზმის საინფორმაციო ცენტრები

მიმდინარე წლის ივნისიდან მუშაობა დაიწყო 4 ახალმა ტურისტულმა საინფორმაციო ცენტრმა (ბათუმი, ქობულეთი, შუახევი, ქედა). დასაქმებულ იქნა 12 ადამიანი.

რეგიონის მასშტაბით სეზონზე **8 ტურისტული საინფორმაციო ცენტრი** მოქმედებდა, რომელთაგან ერთ-ერთი (საბაგირო გზასთან) მთელი სეზონის მანძილზე 24 საათის განმავლობაში ფუნქციონირებს. **მოქმედებს ცხელი ხაზი : 577 90 90 93**

2013-2014 წლების მონაცემების მიხედვით ვიზიტორთა რაოდენობა ტურისტულ საინფორმაციო ცენტრებში **31%-ით** არის გაზრდილი.

✓ საკრუიზო ტურიზმის ხელშემწყობი ღონისძიებები

- ბათუმის რეკლამირება საკრუიზო ტურიზმის ყველაზე პოპულარულ ჟურნალში “Seatrade Cruise Review”.
- ბათუმის დესტინაციის პოპულარიზაცია საკრუიზო ტურიზმის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ საერთაშორისო გამოფენაში “Cruise Shipping Miami 2014”
- მონაწილეობა საკრუიზო ტურიზმის განვითარების დაერთაშორისო პროექტებში:
 1. „კომპეტენციის ცენტრები შავი ზღვის რეგიონში საკრუიზო ტურიზმის განვითარების მიზნით“
 2. „LIMEN - კულტურული პორტები ეგეოსიდან შავ ზღვამდე“

საკრუიზო ტურიზმის სტატისტიკა:

- 2012 წელი- 10 საკრუიზო ხომალდი: 3632 ტურისტი
- 2013 წელი- 16 საკრუიზო ხომალდი: 5162 ტურისტი
- 2014 წელი (9 თვე) - 30 საკრუიზო ხომალდი: 14 720 ტურისტი

✓ სტატისტიკა და ანალიტიკა

2014 წელს დაიწყო და მიმდინარეობს ორი პროექტი:

1. აჭარის ტურიზმის სტატისტიკის ახალი მეთოდოლოგიის შემუშავება (რომელიც ოფიციალურ განთავსების ობიექტებთან ერთად შეიცავს დაურეგისტრირებელი ობიექტებს დატვირთვის კოეფიციენტს)
2. ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების კვლევის მეთოდოლოგია

✓ საერთაშორისო ფესტივალებისა და კონფერენციების ორგანიზება

საერთაშორისო ფესტივალებისა და კონფერენციების ორგანიზების ფარგლებში ჩატარდა საახალწლო ღონისძიებები და „ბათუმის ფრინველების საერთაშორისო ფესტივალი“. ასევე "ტურიზმის კვირეული"- ზაფხულის ტურისტული სეზონის გახსნა;

21-22 ნოემბერს, დეპარტამენტის ორგანიზებით პირველად აჭარაში ტარდება ინკლუზიური ტურიზმის საერთაშორისო კონფერენცია.

✓ ტურიზმის მრჩეველთა რეგიონალური საბჭო

2013 წელს დეპარტამენტმა დააფუძნა აჭარის ტურიზმის მრჩეველთა რეგიონალური საბჭო, რომელშიც შედის 16 სხვადასხვა კერძო და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი. იგი წარმოადგენს მთავარ დასაყრდენ ძალას კერძო სექტორთან სიახლოვისა და არსებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის.

✓ ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის განვითარების სტრატეგიული გეგმა


რეგიონში ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში შემუშავებულია „2015-2018 წლების ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის განვითარების სტრატეგიული გეგმა“, რომლის საფუძველზეც დაიგეგმა 2015-2018 წლების დეპარტამენტის პროგრამული ბიუჯეტი.

✓ პროგრამა „ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის“ ფარგლებში ბოლო ორი წლის მანძილზე გამოყოფილი იყო:


- 2013 წელი: 2 667 000 ლარი
- 2014 წელი: 3 000 000 ლარი

განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების შედეგები 2012-2014



1. უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ტურისტების რაოდენობა გაიზარდა 22 %-ით.




2. უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ფრენების რაოდენობის გაზრდის გამო აეროპორტით შემოსულ ტურისტთა რაოდენობამ მოიმატა 24 %-ით.



3. უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში 200 %-ით გაიზარდა საკრუიზო გემების რაოდენობა და 62 %-ით საკრუიზო გემებით შემოსულ ტურისტთა რაოდენობა.



4. უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში აშენდა 4 ახალი საინფორმაციო ცენტრი, რომელიც მოემსახურა 96 %-ით მეტ ტურისტს



5. უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში 267 %-ით გაიზარდა ტურიზმის ინდუსტრიაში გადამზადებული კადრების რაოდენობა .

